ArtArea-ს საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა

ორგანიზაცია „არტარეა“ 2012 წელს დაარსდა. ის არის პირველი მულტიმედია, რომელიც აერთიანებს ინტერნეტის, სატელევიზიო და ფიზიკურ სივრცეებს, რათა კულტურის განვითარებას შეუწყოს ხელი. „არტარეას“ პროექტი „საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა“ მიზნად ისახავდა განათლების ალტერნატიული წყაროების შექმნას. პროექტის ფარგლებში, უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, შეიქმნა საგანმანათლებლო ვებ-პორტალი: http://lector.ge/. პორტალი წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში ქართველი ექსპერტების მიერ ჩატარებული საჯარო შეხვედრების ვიდეოების ონლაინ ბაზას. მომხმარებელზე ორიენტირებული ვებ-პლატფორმა, ძიების მარტივი ფუნქციით, შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მათთვის საჭირო ინფორმაცია მიიღონ.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 8 საჯარო შეხვედრა, რომლებსაც 200-მდე ადამიანი დაესწრო. შეხვედრების ვიდეო-მასალა სხვა, 140 ვიდეოსთან ერთად, აიტვირთა ვებ-პორტალზე. ვიდეოებს 7000-ზე მეტი მნახველი ჰყავს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი „არტარეას“ მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრების ვიდეო-მასალის პორტალზე ატვირთვას მომავალშიც განაგრძობს.